**დავით თინიკაშვილი**
*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

# საეკლესიო სქიზმის ბუნება და მისი ნიშან-თვისებები

**რეზიუმე**

სანამ ნებისმიერ საეკლესიო განხეთქილებაზე (სქიზმაზე) დავიწყებდეთ საუბარს, მანამდე აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს ასეთი განხეთქილება. როდის, რა პირობებში და რა გზით ხდებოდა სქიზმები? რა კრიტერიუმები, ნიშნები შეიძლება ჰქონდეს მას და რა შედეგების გამოწვევა შეუძლია? წარსულში წმინდად საეკლესიო ხასიათის განხეთქილებათა მავნე შედეგები პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროებზეც ვრცელდებოდა, რადგან ისინი არ არსებობდნენ ერთმანეთისგან განცალკევებით.

ამ საკითხზე მსჯელობისას სხვადასხვა კრიტერიუმი, მახასიათებელი თუ ნიშანი დასახელებულა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ამგვარი განხეთქილების იდენტიფიცირება. ამიტომ, სტატიაში მათი სწორი თანმიმდევრობით დალაგებასა და მკაფიოდ განსაზღვრას ვეცადოთ. არსებობს რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმი, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ითქვას, რომ მომხდარია სრულფასოვანი განხეთქილება ეკლესიებს შორის. ესენია რეალური განსხვავებები დოგმატურ საკითხებზე, პარალელური იერარქიის შექმნა, ეკლესიათა რიგითი წევრების ანტაგონისტური განწყობა ერთმანეთის მიმართ და ეკლესიის საკრამენტებში ურთიერთმონაწილეობის შეჩერება.

**საკვანძო სიტყვები:** *სქიზმის კრიტერიუმები, საეკლესიო განხეთქილება, 1054 წლის სქიზმა, რომი და კონსტანტინეპოლი, ქრისტიანობის ისტორია*

სხვადასხვა საეკლესიო განხეთქილების (სქიზმის) ისტორიულ პერიპეტიებსა და მათი წარმოშობის მიზეზების შესახებ მსჯელობის დაწყებამდე აუცილებელია ჯერ იმის განსაზღვრა თუ როგორია თვით სქიზმის რაობა, მისი ხასიათი. ასევე, კერძოდ, როდის, რა პირობებში და რა გზით ხდებოდა რელიგიური განხეთქილება? რა ნიშნებით შეიძლება განხეთქილების ამოცნობა და რა კრიტერიუმები შეიძლება არსებობდეს მისი გამოვლენისთვის? საეკლესიო შინაარსის განხეთქილებათა მავნე გავლენა პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სფეროებზეც ვრცელდებოდა, რადგან გარდასულ საუკუნეებში მათ განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან.

## სქიზმის რეალური კრიტერიუმები, ნიშან-თვისებები

ქრისტიანულ ეკლესიაში განხეთქილებების გამოსავლენად და დასაფიქსირებლად სხვადასხვა კრიტერიუმი, მახასიათებელი თუ ნიშანი შეიძლება არსებობდეს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ხსენებული

სქიზმების იდენტიფიცირება. ვფიქრობ, არსებობს საჭიროება მათი უფრო მეტად დაკრისტალებისა, სწორი თანმიმდევრობით დალაგებისა და მკაფიოდ განსაზღვრისა.

საეკლესიო განხეთქილების უპირველესი ნიშანი შეიძლება იყოს *მნიშვნელოვან* დოქტრინალურ იდეებს (ანუ დოგმატებს) შორის არსებული სხვაობების ან წინააღმდეგობების არსებობა. ეს სხვაობები *რეალური* და ობიექტური უნდა იყოს და არა რომელიმე მხარის მიერ სუბიექტურად, ნაძალადევი ინტერპრეტაციებით დანახული. საბოლოოდ, თუკი ეს სხვაობები სერიოზული განხილვის ღირსად მიიჩნევა, მაშინ მათ დასაძლევად ორივე ეკლესიის წევრები იკრიბებიან[1].

სქიზმის მეორე კრიტერიუმი და ნიშანი, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს და უკავშირდებოდეს პირველს (თუმცა ეს აუცილებელი არაა, რადგან სქიზმაში გასული რელიგიური ჯგუფის დოგმატური სწავლება შეიძლება იგივე იყოს), ესაა *პარალელური იერარქიის* შექმნა. ეს ბუნებრივია, რადგან თუკი გამოყოფილთ მიაჩნიათ, რომ ის „სხვა“ ეკლესია არასწორ დოგმატურ, ეკლესიოლოგიურ, დისციპლინარულ ან ეთიკურ იდეებს ავრცელებს, ასეთ დროს ისინი საჭიროდ თვლიან გამიჯვნას. შესაბამისად, დგება საჭიროება ახალი რელიგიური ლიდერების არჩევისა ან უკვე არსებული იერარქიის გამოყოფისა. სწორედ, ამ გზით ყალიბდება დამოუკიდებელი იერარქია. მაგ., ანტიოქიის ეკლესია რომის ეკლესიასთან სქიზმაში მყოფად მოიაზრება 1054 წლიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდგომ. ამის შესახებ ცნობილი ისტორიკოსი, სტივენ რანსიმენი ნათლად წერდა: „ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ანტიოქიის ეკლესიაში [რომთან] სქიზმა იწყება 1100 წლიდან“[2]. ამ დროიდან ანუ ჯვაროსნების მიერ მართლმადიდებელი პატრიარქის, იოანე ოქსიტელის განდევნის შემდგომ, დასაბამი დაედო ერთმანეთთან მოქიშპე ორ პარალელურ იერარქიას. ასევე ამ კონკრეტულ საკითხზე ისტორიკოსი ჯორჯ დენისი, საუბრობს რა 1054 წლის დიდ განხეთქილებაზე, მართებულად შენიშნავს, რომ მხოლოდ “მე-13 საუკუნის პირველ

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსი ჯორჯ დენისი არაზუსტად განსაზღვრავს ბერძენთა და ლათინთა შორის პირველი ამგვარი თეოლოგიური დიალოგის კონკრეტულ დროს. ის წერს: “მხოლოდ 1234 წელს, როდესაც ბერძნული და ლათინური იერარქიის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს ნიმფაიონში მათ შორის არსებულ რელიგიურ სხვაობებზე სამსჯელოდ, აქ უკვე აშკარა იყო, რომ ისინი წარმოადგენდნენ ორ ერთმანეთისგან განცალკევებულ ეკლესიას“ (Dennis, George. *“Schism, Union and the Crusades”,* The Meeting of Two Worlds: Cultural Exchange between East and West during the period of the Crusades. Edited by V. Goss. Kalamazoo: Western Michigan University, Medieval institute, 1986, p. 184). ამრიგად, ეს იყო იერარქების პირველი წარმომადგენლობითი შეხვედრა, რადგან რომის პაპი ოფიციალურ დელეგაციას აგზავნის ბერძნებთან. განსახილველი საკითხი ეხებოდა განსაწმენდელის იდეას (Ombres, Robert. *“Latins and Greeks in Debate over Purgatory, 1230-1439”,* The Journal of Ecclesiastical History, Vol. 35, No. 1, 1984, p. 2). მაგრამ მსგავსი დიალოგები უფრო ადრეც გამართულა. მაგ., 1113-1114 წლების მიჯნაზე „მილანის არქიეპისკოპოსი, პეტრე ქრისოლანი კონსტანტინეპოლში ჩადის, სადაც მიწვეული იყო ბერძენ თეოლოგებთან დისკუსიისთვის (იმპერატორის თანდასწრებით) სულიწმინდის გამომავლობისა და უფუარი პურის გამოყენების საკითხების შესახებ“ (Runciman, Steven. *The Eastern Schism: A study of the papacy and the Eastern Churches during the XIth and XIIth centuries*. Oxford: Clarendon Press 1955, p. 108). ცხადია, საეკლესიო კრებები, როგორც ასეთი, რომელთა მიზანი ლათინთა და ბერძენთა სარწმუნოებრივი გაერთიანება იყო, მოგვიანებით ტარდება (ლიონის მეორე კრების, ფერარა-ფლორენციისა და სხვა კრებების სახით).

[2] Runciman, *Eastern Schism*, p. 97.

ათწლეულებში გაუცხოება სრულ სახეს იძენს და აქ უკვე მართებულია სქიზმაზე საუბარი. ამ დროს როგორც ლათინებს, ისე ბერძნებს საკუთარი ეპისკოპოსი ჰყავთ, მაგ., კონსტანტინეპოლში, პეტრასა და ათენში“[3].

რეალურ საეკლესიო განხეთქილებას კიდევ ერთი ნიშანი აქვს. ესაა უშუალოდ *ხალხის ანტაგონისტური განწყობა* მათ მიმართ, ვისგანაც რელიგიურად იმიჯნებიან. რანსიმენის შეფასებით, რომსა და კონსტანტინეპოლს შორის “სქიზმის მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გახდა რეალური, როდესაც თითოეული ეკლესიის რიგითი წევრი გრძნობდა ამას ამგვარად“.[4] ხალხის ამგვარი განწყობა და დამოკიდებულება კიდევ უფრო ამყარებს ხსენებულ განხეთქილებას და მას შეუქცევად ხასიათს აძლევს. ალბათ, ეს არცაა შემთხვევითი, რადგან განსაზღვრების მიხედვით, ეკლესია არა მხოლოდ კლერიკალების, იერარქიის წარმომადგენლების, არამედ მასში გაწევრიანებული ყველა მორწმუნისგან შედგება. ამიტომაც, ზოგჯერ ეკლესიის რიგით წევრთა ქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ., როცა ფერარა-ფლორენციის კრებაზე ბერძენი დელეგატების უმრავლესობამ ხელი მოაწერა რომთან გაერთიანების დეკრეტს, შემდეგ ბიზანტიაში ხალხმა არ გაიზიარა თავისი იერარქების ეს გადაწყვეტილება, რითაც რეალურ და საბოლოო განხეთქილებაში რჩებოდნენ ლათინებთან.

არსებობს სქიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი თუ ნიშანი, რაზეც, სამწუხაროდ, ხშირად ყურადღება არ მახვილდება. ესაა საკრამენტული ურთიერთობა ანუ ფორმალურად გამიჯნული ეკლესიების წევრთა მიერ ერთმანეთის საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა. ამგვარი ურთიერთობა კი ლათინებსა (კათოლიკეებსა) და ბერძნებს (მართლმადიდებლებს) შორის ყოველთვის როდი იყო გაწყვეტილი. მაგ., მეჩვიდმეტე საუკუნის ბერძნულენოვან საქრისტიანოში საოცრად მეგობრული ურთიერთობები არსებობდა ლათინებსა და ბერძნებს შორის, რაც არა მარტო რელიგიურ, არამედ ყოფით ურთიერთობებშიც ვლინდებოდა, მაგ., შერეული ქორწინებების სახით. ეს ეპოქა მართლმადიდებელ და კათოლიკე ქრისტიანთა ერთობლივი რელიგიური მსახურების საოცარ მაგალითებსაც იცნობს. მაგ., “კათოლიკე მისიონერები მართლმადიდებელ იერარქთა მხარდაჭერით მართლმადიდებლურ ტაძრებში ქადაგებდნენ და აღსარებას იბარებდნენ მართლმადიდებელ მორწმუნეთაგან; რომის კათოლიკე მღვდლები ასევე წმინდა ზიარებასაც აძლევდნენ მართლმადიდებლებს”[5]. როგორც ვხედავთ, საეკლესიო საიდუმლოებებში ურთიერთმონაწილეობა (ე.წ. *communicatio in sacris*[6]) პრობლემას არ წარმოადგენდა. განსაკუთრებით საინტერესო კი ისაა, რომ სწორედ “მეჩვიდმეტე საუკუნე ამგვარი ფაქტების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩეოდა”[7]. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია

---

[3] Dennis, *Schism,* p. 182.

[4] Runciman, *Eastern Schism,* p. 4.

[5] Ware, Kallistos. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Oxford: Clarendon Press 1964 (reprint with a new introduction: Eugene, OR: Wipf & Stock 2013), p. 17.

[6] *Communicatio in sacris* – ტექნიკური სიტყვათშეთანხმებაა, რაც ნიშნავს სხვადასხვა კონფესიის ქრისტიანთა ერთობლივ ლოცვას და ასევე საკრამენტებში (ევქარისტია, აღსარება, ხელთდასხმა და სხვა) ურთიერთმონაწილეობას.

[7] Ware, Kallistos. *“Orthodox and Catholics in the Seventheenth Century: Schism or Intercommunion?”* Schism, Heresy and Religious Protest. Papers read at the Tenth Summer Meeting and the Eleventh Winter Meeting of the Ecclesiastical History Society. Edited by Derek Baker. Oxford: Blackwell 1972, p. 260.

იმის აღნიშვნაც, რომ არა მარტო ბერძნული საეკლესიო იერარქია, არამედ რიგითი ბერძნებიც გამორჩეული ენთუზიაზმით იღებდნენ ლათინ მისიონერებს.

რასაკვირველია, ბერძნებსა და ლათინებს შორის ასეთი კეთილმეგობრული ურთიერთდამოკიდებულება ნამდვილად უჩვეულოდ მოჩანს, რადგან წარსულში მათ უმეტესწილად ძალზედ მტრული ურთიერთობა ჰქონდათ. ეს მტრობა მკვეთრად გამოიხატა 1484 წლის კონსტანტინეპოლის *საერთო მართლმადიდებლურ* კრებაზე. აქ ოთხმა აღმოსავლელმა პატრიარქმა განაჩინა, რომ ბერძნები, რომლებიც "იძულებულნი იყვნენ"[8] რომის უზენაესობა ეცნოთ, ეკლესიას უნდა დაბრუნებოდნენ არა ხელმეორე ნათლობით, არამედ უფრო მსუბუქი წესით - ოდენ მირონცხების რიტუალით, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც "ლათინთა სამარცხვინო და უცხო დოგმებს"[9] დაგმობდნენ. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება იმდენადვეა შემწყნარებლური "შემცდარი" ბერძნებისადმი, რამდენადაც შეუწყნარებელი კათოლიკური დოქტრინისადმი[10].

**სქიზმის შემარბილებელი ფაქტორები?**

ასეთი სრულფასოვანი განხეთქილების ჩამოყალიბებისა და გამყარების შემდეგაც შესაძლოა არსებობდეს იმგვარი დადებითი ფაქტები, რომლებიც ზოგ ისტორიკოსს (მაგ., ჯორჯ დენისს) შესაძლოა აფიქრებინოს, რომ ისინი არბილებენ სქიზმის რეალობას ან რომ სინამდვილეში ჯერ არ გაფორმებულა ამგვარი სქიზმა. მაგრამ, ვფიქრობ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არ უნდა იყოს გამართლებული.

აღნიშნულ კონტექსტში ერთ-ერთ ამგვარ დადებით მოვლენად განიხილება, მაგ., 1095 წელს პაპი ურბანის მიერ „აღმოსავლელი ქრისტიანების დასახმარებლად" ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა. მაგრამ ამგვარი სამხედრო თანამშრომლობა პოლიტიკის საქმე უფრო იყო, ვიდრე რელიგიის. სხვა სიტყვებით, წმინდა მიწის მუსლიმთაგან ერთობლივ განთავისუფლებას კავშირი არ ჰქონდა საეკლესიო განხეთქილების რეალობასთან. თითქოს ამგვარი თანამშრომლობის წამოწყებას ხელი უნდა შეეწყო ერთმანეთისადმი მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის. სინამდვილეში კი ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა უფრო გააუარესა ბერძნებისა და ლათინების ურთიერთობა, განსაკუთრებით მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, როცა 1204 წელს ლათინებმა კონსტანტინეპოლი დაიპყრეს და გაძარცვეს.

სამწუხაროდ, თვით ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსსაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ჯვაროსნებისადმი მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მის ინტერესშიც შედიოდა მუსლიმი მტრების წინააღმდეგ. ამგვარი ერთობლივი

---

[8] Runciman, Steven. *The Great Church in Captivity: A Study of the Patriarchate of Constantinople from the Eve of the Turkish Conquest to the Greek War of Independence*. London: Cambridge University Press 1968, p. 228.

[9] Ware, *Orthodox and Catholics*, p. 262.

[10] ვინაიდან მე-17 საუკუნის ბერძნულ-ლათინური რელიგიური ურთიერთობების უფრო ვრცელი განხილვა წინამდებარე ტექსტის მიზანი არაა, ამიტომ დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ექნება მას გაეცნოს შემდეგი ნაშრომის შესაბამის მონაკვეთში: დავით თინიკაშვილი. *„დამოკიდებულება კათოლიკური მოძღვრებისა და მისი გავრცელების მიმართ მე-17-18 საუკუნეების ქართულ, ბერძნულ და რუსულ წყაროებში"*, კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში - 7. მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, 2024 წ. რედაქტორი მერაბ ღაღანიძე. თბ., სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2025. (იბეჭდება).

ლაშქრობები. მაგ., როდესაც 1097 წლისთვის იერუსალიმისკენ მიმავალ ჯვაროსნებს კონსტანტინეპოლი უნდა გაევლოთ, იმპერატორმა ალექსიმ ისინი არათუ მოკავშირეებად მიიჩნია და დახმარების ხელი გაუწოდა, არამედ, როგორც ლათინი მემატიანე წერს, მათი დახოცვა გადაწყვიტა[11]. ამიტომაც, გასაკვირი არაა ლათინთა მხრიდან ბერძნებთან წინააღმდეგობის გაზრდა თვით ჯვაროსნული ლაშქრობების ფარგლებშიც კი. თუმცა, ცნობილია, რომ ალექსი კომნენოსმაც სთხოვა რომის პაპს დახმარება პალესტინის განთავისუფლებისთვის. ამრიგად, ხსენებული იმპერატორის ურთიერთობა რომის პაპთან, თომას ესბრიჯის მართებული შენიშვნით, „პრაგმატული მანიპულაციებით“[12] ხასიათდებოდა.

ამრიგად, საკმაოდ ნაჩქარევია პაპი ურბან მეორისა და იმპერატორ ალექსი კომნენოსის მიერ 1089 წელს დაწყებული, თითქოს ერთობლივი ჯვაროსნული ლაშქრობების ფარგლებში, თავიდანვე წარუმატებელი თანამშრომლობის „კეთილგანწყობილი ურთიერთობის აღდგენად“[13] შეფასება. ამას გარდა, ხსენებულ თანამშრომლობას, თუნდაც რომ წარმატებული ყოფილიყო, ვერ ექნებოდა მნიშვნელოვანი კავშირი საეკლესიო სქიზმის დაძლევასთან ან თუნდაც მის რამდენადმე შემსუბუქებასთან, რადგან სხვაა საეკლესიო განხეთქილების არსი, მისი ბუნება და სხვაა პოლიტიკური თანამშრომლობა. ეს ორი სხვადასხვა სიბრტყეა, როდესაც ორი ეკლესიის სტრუქტურულ გაერთიანებაზეა საუბარი, რასაც შესაბამისი წესების დაცვას ითხოვს.

შეუსაბამოა აგრეთვე ამ ეპოქის ზოგიერთი ცნობილი მოაზროვნის დასახელება, რომლებსაც ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდათ ლათინებისადმი (მაგ., ქართველი გიორგი მთაწმინდელისა ან ბერძენი თეოფილაქტე ბულგარელისა ან პეტრე ანტიოქიელისა[14]). ბუნებრივია, ყოველთვის იარსებებენ ცალკეული ადამიანები, რომლებსაც უმრავლესობისაგან განსხვავებული პოზიცია შეიძლება ჰქონდეთ, მით უმეტეს, როდესაც საუბარია ისეთ ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე, როგორიცაა ბიზანტიის იმპერია და ლათინური დასავლეთი. ამიტომ ლოგიკურია, რომ როგორც დიდ განხეთქილებამდე, ისე მის შემდგომაც არსებობდნენ გამონაკლისი ნათელი ფიგურები, რომლებიც უფრო შემწყნარებლური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. თუმცა მათ არ შეეძლოთ ზოგად ვითარებაზე გავლენის მოხდენა. ამიტომ ნაძალადევია ზოგადად ბერძნულ-ლათინური დაპირისპირების გამარტივებული სახით ჩვენება ამგვარი გამონაკლისი მოღვაწეების გამოკვეთის საფუძველზე, რომლებიც დიდი განხეთქილების ეპოქაში ღრმა უმცირესობას წარმოადგენდნენ. ამასთან, გიორგი მთაწმინდელი ქართული და არა ბერძნული სივრცის წარმომადგენელი იყო. ქართველები კი ზოგადადაც არ იზიარებდნენ ბერძენთა ანტილათინურ პოზიციას[15].

---

[11] *Gesta Francorum et aliorum Hierosolomitanorum: The Deeds of the Franks and the Other Pilgrims to Jerusalem*. Edited by Rosalind Hill. London: Nelson, 1962, p. 6.

[12] Asbridge, Thomas. *The first Crusade*. London: Free Press 2005, p. 100.

[13] Dennis, *Schism*, p. 182.

[14] Dennis, *Schism,* p. 182. (სხვათა შორის, ჯ. დენისი ეყრდნობა გიორგის ცხოვრების ლათინურ თარგმანს, რომელიც ბელგიელმა ქართველოლოგმა, პაულ პეეტერსმა შეასრულა: “Histoires monastiques georgiennes”, Analecta Bollandiana, #36-37, 1917-1919, pp. 77-159).

[15] ვრცლად იხ. ნაშრომი: თინიკაშვილი, დავით. *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა მე-11-13 საუკუნეებში.* სადოქტორო დისერტაცია. თბ.,

ასევე ნაკლებად რელევანტურია ე.წ. დიპტიქში პაპის სახელის მოხსენიება-არმოხსენიების საკითხი. იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ კათედრის პირველი იერარქის სახელი დროებით გამორიცხული იყო დიპტიქიდან მისი არჩევის არაკანონიკურად მიჩნევის ან საეჭვო თეოლოგიური შეხედულებების გამო. ასევე არსებობდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის მონაკვეთები (მაგ., არაბული ექსპანსიის ეპოქა), როდესაც აღმოსავლეთის საპატრიარქოები მოკლებულნი იყვნენ ერთმანეთთან ურთიერთობას. შესაბამისად, დიპტიქებიც ნაკლული იყო სათანადო ინფორმაციის არქონის გამო. ამრიგად, „დიპტიქში მოუხსენიებლობა აუცილებლად არ ნიშნავდა სქიზმას“[16]. ვერც დიპტიქში სახელის ჩართვა ნიშნავდა სქიზმის აღმოფხვრას. კალისტოს უერის აზრით, ის ფაქტი, რომ 1009 წლის შემდეგ რომის პაპის სახელი არ გვაქვს კონსტანტინეპოლის დიპტიქში, არაფერს ნიშნავს. ეს საკითხის მხოლოდ ტექნიკური მხარეა და „არ იქნებოდა მართებული ამ ტექნიკური მომენტის გაზვიადება. დიპტიქები ხშირად იყო არასრული“.[17] ამიტომაც, სავსებით მართებულია კათოლიკე ავტორის, გაბრიელე ბრაგანტინის შენიშვნა, რომ თუ მართებულია სქიზმის განსაზღვრა დიპტიქში პაპის მოუხსენიებლობით, მაშინ „დიდი განხეთქილების თარიღი თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე უნდა გადავწიოთ, თუმცა ეკლესიის მეთაურის სახელის გამორიცხვა დიპტიქიდან ავტომატურად არ ნიშნავდა ეკლესიათა შორის განხეთქილებას“[18].

**შეჯამება**

ამგვარია საეკლესიო განხეთქილების ამოცნობის ძირითადი კრიტერიუმები, ნიშნები. შეიძლება ითქვას, რომ, მაგ., 1054 წლის დიდი განხეთქილება საბოლოოდ ყველა ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებდა იმისათვის, რომ სრულყოფილ სქიზმად მიჩნეულიყო. ბუნებრივია, ყველა აღნიშნული ნიშანი მყისიერად როდი წარმოიშვა. მათ გამოჩენას სხვადასხვა დროის მონაკვეთის გავლა დასჭირდა.

ამრიგად, თვით დიდ განხეთქილებას, მართალია, მოგვიანებით სქიზმის ყველა რეალური ნიშანი ჰქონდა (განსხვავებების გამოკვეთა დოქტრინაში, პარალელური იერარქიის განვითარება, ხალხის ანტაგონისტური განწყობა, საკრამენტული ურთიერთობების გაწყვეტა), მაგრამ გარკვეულ რეგიონებში ზოგიერთი ეს „გამაუცხოებელი“ ნიშანი, ისტორიული გარემოებების გამო, საერთოდ ქრებოდა (მაგ., საკრამენტებში ურთიერთმონაწილეობის აღდგენა). მაგრამ ვინაიდან ამგვარი მოვლენები დროებითი და არამდგრადი იყო, ამიტომ ისინი საეკლესიო სქიზმის ზოგად და პერმანენტულ რეალობას ვერ აუქმებდა. ამ კონტექსტში სრულიად არარელევანტურია ისეთ „შემარბილებელ“ ფაქტორებზე აპელირება, რაც ნახსენებია ისტორიკოს ჯორჯ დენისის ნაშრომში, კერძოდ, ჯვაროსნული თანამშრომლობა, ცალკეული გამონაკლისი მოღვაწეები, რომლებიც

---

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015, 247გვ. http://eprints.iliauni.edu.ge/4552/ [წვდომა 11.09.2023].

[16] Runciman, *Eastern Schism*, p. 3.

[17] უერი, კალისტოსი. *„დიდი სქიზმა“,* აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. მთავარი რედაქტორი: დავით თინიკაშვილი. თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი 2009, გვ. 29.

[18] ბრაგანტინი, გაბრიელე. *„იყო კი სქიზმა?“,* დიალოგი #1 (2) 2005, გვ. 75.

არ იზიარებდნენ სქიზმის მომხრეთა რადიკალურ პოზიციებს, დიპტიქში მოხსენიება-არმოხსენიების საკითხი თუ შერეული ქორწინებები.

**ბიბლიოგრაფია**


1. ბრაგანტინი, გაბრიელე. *„იყო კი სქიზმა?“,* დიალოგი 1 (2) 2005, გვ. 64-82.
2. თინიკაშვილი, დავით. *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა მე-11-13 საუკუნეებში.* სადოქტორო დისრტაცია. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015, 247გვ. http://eprints.iliauni.edu.ge/4552/ [წვდომა 11.09.2023].
3. თინიკაშვილი, დავით. *„დამოკიდებულება კათოლიკური მოძღვრებისა და მისი გავრცელების მიმართ მე-17-18 საუკუნეების ქართულ, ბერძნულ და რუსულ წყაროებში“,* კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში - 7. მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, 2024 წ. რედაქტორი მერაბ ღაღანიძე. თბ., სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2025. (იბეჭდება).
4. უერი, კალისტოსი. *„დიდი სქიზმა“,* აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. მთავარი რედაქტორი: დავით თინიკაშვილი. თბ., სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი 2009, გვ. 11-37.
5. Asbridge, Thomas. *The first Crusade*. London: Free Press 2005.
6. Dennis, George. *“Schism, Union and the Crusades”,* The Meeting of Two Worlds: Cultural Exchange between East and West during the period of the Crusades. Edited by V. Goss. Kalamazoo: Western Michigan University, Medieval institute, 1986, pp. 181-187.
7. Hill, Rosalind (ed.). *Gesta Francorum et aliorum Hierosolomitanorum: The Deeds of the Franks and the Other Pilgrims to Jerusalem*. Edited by Rosalind Hill. London: Nelson, 1962.
8. Ombres, Robert. *“Latins and Greeks in Debate over Purgatory, 1230-1439”,* The Journal of Ecclesiastical History, 35:1, 1984, pp. 1-14.
9. Peeters, Paul. *“Histoires Monastiques Georgiennes”,* Analecta Bollandiana, #36-37, 1917-1919, pp. 77-159.
10. Runciman, Steven. *The Eastern Schism: A study of the papacy and the Eastern Churches during the XIth and XIIth centuries*. Oxford: Clarendon Press 1955.
11. Runciman, Steven. *The Great Church in Captivity: A Study of the Patriarchate of Constantinople from the Eve of the Turkish Conquest to the Greek War of Independence*. London: Cambridge University Press 1968.
12. Ware, Kallistos. *Eustratios Argenti: A Study of the Greek Church under Turkish Rule*. Reprint with a new introduction. Eugene, OR: Wipf & Stock 2013.
13. Ware, Kallistos. *“Orthodox and Catholics in the Seventheenth Century: Schism or Intercommunion?”,* Schism, Heresy and Religious Protest. Papers read at the Tenth Summer Meeting and the Eleventh Winter Meeting of the Ecclesiastical History Society. Edited by Derek Baker. Oxford: Blackwell 1972, p. 259-276.